

**ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური
ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის
დაწესების პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ზოგიერთი სსიპ-ისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომელთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე (ღირებულება 0,40 ლარი) შეღავათის დაწესება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.პროგრამით მოსარგებლეთა ჯგუფს წარმოადგენს სსიპ ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ა(ა)იპ რუსთავის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრის“, სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - „ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი“, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების“, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“, ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების“, ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“, ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრის“, ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“, სსიპ პროფესიული კოლეჯი „მოდუსის“, ააიპ „უზრუნველყოფისა“ და ააიპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ თანამშრომლები.

2.პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა განახლდება ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი იურიდიული პირების ხელმძღვანელების მიერ ყოველთვიურად მოწოდებული თანამშრომელთა განახლებული სიების საფუძველზე.

3.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული პირების თანამშრომლები, რომლებიც იღებენ პროგრამით დადგენილ შეღავათს მცხოვრები და რეგისტრირებული უნდა იყვნენ ქალაქ რუსთავში უწყვეტად არანაკლებ 2 (წლის) განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

4.გამონაკლისი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების ვადა

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური სს "ლიბერთი ბანკს" გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად აწვდის ინფორმაციას პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ, რის შემდეგაც ბანკი უზრუნველყოფს მათთვის მგზავრობისათვის საჭირო ელექტრონული ბარათების (City Pass საგადამხდელო ბარათების) დამზადებასა და გადაცემას, რისი მეშვეობით ბენეფიციარებს შეეძლებათ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმგზავრონ თვეში არაუმეტეს 60-ჯერ.

2.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური ყოველთვიურად სს "ლიბერთი ბანკიდან" მიღებული ინფორმაციის (მგზავრობის ტრანზაქციების რაოდენობის რეესტრი) დამუშავების შემდეგ ახორციელებს ანგარიშსწორებას შპს "რუსთავის მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის საწარმოსთან".

მუხლი 5. პროგრამის დაფინანსება

ზოგიერთი ააიპ-ის და სსიპ-ის თანამშრომლებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამის ბიუჯეტია 80 000,00 (ოთხმოცი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მათ შორის 2017 წლის დეკემბრის ხარჯი შეადგენს 2 822.00 (ორი ათას რვაას ოცდაორი ლარი და 00 თეთრი) ლარს. პროგრამის ბიუჯეტი კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგი სახით:

ბიუჯეტი	80 000,00 ლარი
I კვარტალი	33 000,00 ლარი
II კვარტალი	20 000,00 ლარი
III კვარტალი	15 000,00 ლარი
IV კვარტალი	12 000,00 ლარი

მუხლი 6. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი